პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი.

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

30 ივლისი

შაბათი

1919. კომინტერნმა მოწოდებით მიმართა შეთანხმების ქვეყნების მუშებს. მოწოდება ბრალს დებს სოც.-გამცემლებს 21 ივლისის საერთაშორისო გაფიცვის ჩაშლაში. რის გამო დაიღუპა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4,
ტელეფონი №

დღიური

— საქონლის გაცვლა-გამოცვლა [illegible] ძლიერდება. ბათომში მოვიდა სხვა და სხვა [illegible] ხანოვაგით დატვირთული გემები.

— ხამარცხვინოთ გაქცეული მენშევიკები [illegible] იტალიელების მოსამსახურე აგენტებათ გამხდარან [illegible] ზმოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 122 შაბათი, 30 ივლისი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი 30 ივლისი, 1921 წ. № 122

— მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ დაადგინა მოკრიბოს წელს ერთი მილიონი ფუთი პური.
— საბჭოთა საქართველოს გლეხობამ მხურვალედ უნდა გამოეხმაუროს თავისი ხელისუფლების ამ მოწოდებას და სისრულეში მოიყვანოს ის, რაც შეიძლება მალე.

მუშათა სასადილოები

ზედმეტია იმის მტკიცება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ ასეთ სასადილოებს, ნამეტურ დღეს, როცა კუჭის საკითხი ასე მწვავეთ დგას მშრომელი მასის წინაშე, როცა საწარმოო ძალების აღორძინება და განვითარება უმთავრესს მორიგ ამოცანას წარმოადგენს როგორც საბჭოთა მთავრობისთვის, ისე ჩვენი პარტიისათვის. წინასწარი პირობა ამ ამოცანის სასურველად გადაჭრის არის მშრომელი კლასის წესიერი გამოკვება. თუ მუშებისათვის სურსათ სანოვაგის დროზე და წესიერი მიწოდება შევძელით, თუ ამ დარგში ჩვენ ვაწარმოეთ სწორი და მიზანშეწონილი პოლიტიკა, მთავარი საკითხი ამით სანახევროთ მაინც გადაწყვეტილი იქნება. დამატებითი ჩვენი მუშაობა—პარტიულ პოლიტიკური, ორგანიზატორული, წარმოებითი პროპაგანდა, მასსების საბჭოთა აღმშენებლობითს მუშაობაში ჩაბმა, უპარტიოებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა ორგანიული მუშაობის ნიადაგზე და სხ. ყოველივე ეს დაამაგრებინებს ჩვენს ძირითად მუშაობას. მთავარი კი მშრომელთა გამოკვება, ამ „საგნითი გაკვეთილზე" გამოჩნდება ჩვენი უნარი და ნიჭი, ამ მუშაობის შედეგების მიხედვით დააფასებს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხელისუფლებას ფართო მშრომელი მასსა.

არის კი წესიერათ მოწყობილი ჩვენი სასადილოები მაინც? არა, არ არის. ნაძალადევის რაიონის საერთო პარტიულ კრებაზე გამოირკვა ბევრი რამ არასასურველი და აღმაშფოთებელი, რასაც ფეხი მოუკიდნია სასადილოებში და მათ გარშემო. სასადილოებისთვის ბინების შოვნა თითქმის შეუძლებელი გამხდარა. ჩვენი ამხანაგები გამონახავენ თურმე თავისუფალ ბინას, მაგრამ მალე აღმოჩნდება, რომ ეს ბინა „უცხოელზე"-ითვლიება. [illegible]—მაგრამ იქ ისეთი ღვინიანი ქვევრები იქნება და მათ გადატანაზე „უცხოელი" პატრონი თავს არ აიტკივებს. ამის გამო არსებული სასადილოებით ვერ სარგებლობს ამ რაიონის მუშების ნახევარიც კი. და ვინც სარგებლობს, კუდში, „ოჩერედში" დგომა უხდებათ, რაც, კმაყოფილების მაგიერ, გაბრაზების, გაბოროტების და გულცივობის წარმომშობია. სასადილოებს არ ქონებიათ საკმაო ჭურჭელეულობა, არ ქონებიათ საკმარი ავეჯეულობა, არ ქონებიათ გადასაზიდი საშუალება, რის გამო ის სურსათ-სანოვაგე, რასაც სასურსათო კომიტეტი იძლევა, თავის დროზე ვერ აღწევს სამზარეულომდე. მუდმივი კონტროლის საქმეც მოიკოჭლებს.

ამასთანავე ერთი აღმაშფოთებელი გარემოებაც გამოირკვა: სარძევე ფერმას ნაბრძანები ქონია ჯერ კიდევ მაისში რძე მიაწოდოს მუშების ბავშვებს (არა უხნიერეს 3 წლისა). სიები წარდგენილი ყოფილა, მაგრამ ვიღაცა ოხუნჯს მიუთხოვია მეტრიკული აღმონაწერები, რის გამო საქმე შეფერხებულა და რძე ბავშვებს დღემდის არ მიუღიათ.

გამოდის, რომ საბჭოთა ორგანოებში ყველ ღონეს ხმარობენ, რათა მუშათა მდგომარეობა სასურველათ გააუმჯობესონ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათი ცდა ვერ იღებს სათანადო ნაყოფს.

რატომ? იმიტომ რომ ჩვენ ყველას გვაკლია ორგანიზატორული უნარი, ვერ ვიჩენთ ფხიანობას საქმის მოწყობაში. ეს კი დიდი ნაკლია. ორგანიზაცია—ის ცემენტია, ურომლისოთ ვერავითარ მასალიდან ციხე სიმაგრე ვერ აშენდება. თუ ორგანიზატორული ნიჭი ვერ გამოვიჩინეთ, რაც რამ მრავალი მოსახმარებელი საგანი არ გაგვაჩნდეს, მის წესიერად განაწილებას და მიზანშეწონილ გამოყენებას ვერ შევძლებთ. ყოველი მშრომელი დღეს ნათლად ხედავს, რომ სურსათ სანოვაგის დიდი ნაკლებობაა ყველგან, მით უმეტეს ჩვენში. ყოველი მშრომელი ხედავს, რომ საბჭოთა მთავრობის უმთავრესი საზრუნავია მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება რითაც კი შეიძლება. და ყოველი მუშა შეურიგდება ყოველ გვარ გაჭირვებას, აიტანს შიმშილსაც კი, რო ხედავდეს საქმის ორგანიზაციას, რო ხედავდეს რომ—ცოტაა თუ ბევრი,—დროზე და წესიერათ ნაწილდება.

საუბედუროთ, ასეთი ორგანიზაციულ სიმწყობრეს დღეს დღეობით ვერც ჩვენ ვხედავთ და ვერც სხვა.

ამიტომ ჩვენი მორიგი, მოუცილებელი საქმეა: სასადილოების წესიერი მოწყობა, თუნდაც პირველათ რკინის გზის [illegible] რაიონულ კომიტეტს უნდა მიეცეს დირექტივა: სულ მოკლე ხანში მოაგვაროს ეს საქმე უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ცენტრების დახმარებით. ეს უნდა იქნეს გამოცდა კომიტეტისათვის. თუ ის არ გამოიჩენს ამ საქმეში ენერგიის, უნარიანობის და პირდაპირ აღფრთოვანების მაქსიმუმს, ის შეცვლილი უნდა იქნეს. თუ ის ვერ გადალახავს დაბრკოლებას მეტრიკული აღმონაწერებისა „უცხოელებისა" სახით, თუ ის ვერ შესძლებს ყველა პარტიულ და პატიოსან უპარტიო მუშების ამ საქმის გარშემო ამოძრავებას, მას უუნარობა უნდა გამოეცხადოს.

მაშ, ჩქარა რკინის გზის რაიონის ამხანაგებო!

მაშ, ჩქარა ყველა სათანადო დაწესებულებებში მომუშავე ამხანაგებო!

ხაშურის „სახალხო" მოსამართლე კიკნაძე კონტრ-რევოლუციონერის როლში

ამას წინათ მე მომიხდა გავლა ქ. ხაშურში, სადაც ადგილობრივ რევკომის და პარტკომის წარმომადგენლებმა, სხვათა შორის, გადმომცეს ერთი მეტათ საყურადღებო ოფიციალური დოკუმენტი. ეს დოკუმენტი შეიცავს ასლს ხაშურის „სახალხო" მოსამართლის მოქალაქე კიკნაძის ერთი განაჩენისას. ეს განაჩენი იმდენათ დამახასიათებელია დღევანდელი მომენტის და საყურადღებო თითოეული ჩვენთაგანისთვის, რომ მე მიუცილებელ საჭიროებათ ჩავთვალე მისი სიტყვა სიტყვით მოთავსება ჩვენ გაზეთში. ამ დოკუმენტიდან აშკარათ ჩანს, რომ ბ. კიკნაძეს თავის მიზნათ დაუსახავს არა მარტო ყოფილ მემამულეების ინტერესების დაცვა, არამედ უკმაყოფილების გამოწვევაც გლეხებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

დეე ჩვენმა ამხანაგებმა დაინახონ თუ ვისთან, რა ხალხთან გვაქვს საქმე, დეე თვით ბ. ბ. კიკნაძეებიც დარწმუნდნენ იმაში, რომ იმათი დანაშაული, იმათი პროვოკატორობა და კონტრ-რევოლუციონური მოქმედება ადრე იქნება თუ გვიან სულ ერთია მაინც გამომჟღავნდება.

ხსენებული დოკუმენტი შესდგება ორი ნაწილისაგან ე. ი. ოქმისა და განაჩენისაგან. მოგვყავს ამათი ასლი*).

ოქმი

„1921 წლის ივლისის 9 დღესა მე ხაშურის სახალხო მუდმივმა მოსამართლემ გამოვცხადე დღეის რიცხვს კრისხევში სადავო მიწის ადგილზე დასათვალიერებლათ და ამხანაგების დასწრებით და აგრეთვე მოწმეების თითინა ბოკაშვილის და ბიასე ბიჭიკაშვილის დასწრებით დავათვალიერე სადავო მიწა და ამ მიწის ლალის შესახებ დავკითხე მოწმეებს ადგილობრივ, აღმოჩნდა შემდეგი: მაძიებელმა წარმომადგინა გამიჯვნის გეგმა, შედგენილი 1900 წელს მაძიებლის მამის სახელზე. რომელშიდაც პუნქტ ქვეშ სახნავ სათესის მიწაში ზომით 9 დესეტინა და 1150 ოთხკუთხედი საჟენი შედის ის სადავო მიწაც, რომელიც ვარაუდით უდრის ერთ დღენახევარს და სახელათ ეწოდება „უკულმა სათივის მიწა". ეს გარემოება აღიარეს მხარეებმა და მოწმეებმაც; ხოლო მოპასუხემ განაცხადა, რომ ეს მიწა უძველეს უხსოვარ დროიდან, ამას ისინი თვლიან სახაზინოთ და ახლაც ასე უყურებენ. თუმცა უწინ აძლევდენ ლალას მაძიებლის მამას და პაპას, მაგრამ ამ უკანასკნელ სამი-ოთხი წლის განმავლობაში, როცა სახაზინო მიწები დარჩათ ხიზნებს, აღარ მიუციათ, თუმცა მემამულისაგან წარმოდგენილ გეგმაში და სახაზინო პროტოკოლში აღნიშნულია ეს მიწა მაძიებლის საკუთრებაში და მოპასუხე სახაზინო პროტოკოლში არ არის მოხსენიებული მაძიებლის ანუ თუ მისი მამის ხიზნათ, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს მოხდა შეცდომით მოპასუხის გაუგებრობით და მაძიებლის ხერხით, და ითხოვს უარი ეთქვას ძიებაზე. მაძიებელმა განმარტა, რომ ასეთი მოსაზრებანი მოპასუხისა არავითარ საფუძველზე არ ეყრდნობა, ცარიელი სიტყვაა, პირიქით, მაძიებლის საბუთები შეურყეველია და გარდა ამისა თვით მოპასუხე ამბობს, რომ ლალას გვაძლევდენ, და უკანასკნელ დროს აღარ მომცეს, ითხოვს დაკმაყოფილებულ იქნას ძიება. მოწმეებმა აჩვენეს ბესია ბიჭკაშვილი, 55 წლის მე ვიცი, რომ ეს მიწა, რომელსაც ჩვენ ახლა ვათვალიერებთ, უკულმა სათივის მიწა, ეკუთვნოდა მაძიებლის მამას, ეს კიდევ იმ დროს, როცა პლანი არ იყო შემდგარი და პლანის შედგენის შემდეგ აღარ ვიცი ეს ადგილი მაძიებელს ერგო და მის შვილს სერგოს და რომელსაც ხნიდან ხალალოთ მუშაობს გიო ქურსიშვილი და აძლევდა ლალას მაძიებლის მამას და მერე მას შვილებს, მაგრამ შედგენს თუ არა ეს მიწა სახაზინო მიწას მე არ ვიცი, ეს უნდა სჩანდეს საბუთებიდან: მოწმემ წერა იცის. სახალხო მოსამართლე კიკნაძე. თითინა ბეკოშვილმა აჩვენა ყველაფერი იგივე, როგორც პირველმა, წერა არ იცის, სახალხო მოსამართლე კიკნაძე. ესაა მთელი მასალა, რომელიც საფუძვლად დაედვა „მოსამართლე" კიკნაძის შემდეგ განაჩენს, რომელიც აქვე მოგვყავს სიტყვა სიტყვით:

„1921 წლის ივლისის 9 დღესა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით მე ხაშურის სახალხო მუდმივმა მოსამართლემ განვიხილე რა ძიება სერგო იანათამოვის გიო ქურსიშვილთან მიწის განთავისუფლებაზე და ლალაზე, ვიხელმძღვანელე რა საბჭოთა საქართველოს მთავრობის დეკრეტით № 17 ს და მიწათ მოქმედების კომისარიატის მაზრების რევკომების მიმართ ცირკულიარის № 3 პუნქტი 2-თი, დავადგინე: გადახდეს გიო ქურსიშვილს სერგო იანათამოვის სასარგებლოთ ოთხი წასული წლების მიწის სახელწოდებით „უკულმა სათივის მიწა" ვარაუდით დღე ნახევრისა მოსავლის ლალა ხუთი კოდი და შვიდი ჩანახი პური და ხუთი კოდი სიმინდი და თვით ეს მიწა ჩამოერთვას მოპასუხეს და გადაეცეს მაძიებელს სერგი იანათამოვს. სახალხო მოსამართლე კიკნაძე".

ასე მარტივი და ნათელია „მოსამართლე" კიკნაძის დადგენილება. ჩვენთვის სრულებით არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, რომ მთელ ამ განაჩენს არავითარი იურიდიული საფუძველი არ აქვს, ამ სიტყვის ბურჟუაზიული მნიშვნელობითაც კი, რომ ის ნაკერია, როგორც იტყვიან, თეთრი ძაფით, რომ მოსამართლე პირდაპირ სიყალბეს ჩადის, როცა იგი ეყრდნობა დეკრეტს № 17 და მიწათ მოქმედების კომისარიატის ცირკულიარს, რომ ყოველივე ეს აშკარათ ეწინააღმდეგება მის განაჩენს. მოვიყვანოთ კიდევ აქ ამ [illegible] „ცნობილ" მოსამართლის მეორე მსგავსი განაჩენი, რათა სავსებით ავხადოთ ფარდა ამ ვაჟბატონის „მოღვაწეობას".

„1921 წ. ივლისის 13 დღესა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით მე ხაშურის მოსამართლემ განვიხილე საქმე ძიება ზ. კაფქაევისა მიხა ლაქოშვილთან და სხვებთან ლალაზე და ვიხელმძღვანელე რა სოციალისტური უფლება შეგნებით დეკრეტით № 17 და მიწათმოქმედების კომისარიატის ცირკულიარით № 3 პუნქტი 2, დავადგინე: სოფ. ხალეეში მდებარე სახნავ სათესი 10 დესეტინა მიწის 1919 და 1920 წლების შემოსავალზე ლალათ იძულებული იყვნენ ხალეეშივე მცხოვრებლები მიხეილ ლაქოშვილი, ფირუზა ბეკოშვილი, ელიკო, იოსებ ტატო, იასონ პირველი და იასონ მეორე და ლოტურა თაქაშვილი, იასონი, ალექსანდრე, გიგო, სპირიდონ გოგოლაშვილები, გიგო ბეკოშვილი და მაშკა რომშვილი გადაუხადონ მიწის ნაკლებობის ბარობაზე [illegible] ორასი ფუთი პური, ასი ფუთი სიმინდი, ასი ფუთი ქერი, ანუ თუ ეს შეუძლებელი შეიქნეს ნატურის მაგიერ ფული ფუთ პურზე 150 ათასი მანეთი და ფუთ ქერზე და სიმინდზე 100 მანეთის ანგარიშით. დადგენილება დაუსწრებელია. სახალხო მოსამართლე ა. კიკნაძე".

მორჩა და გათავდა. საბჭოთა რესპუბლიკის ერთმა უბრალო მოხელემ, რომლის ვალდებულებას თითქო ამ რესპუბლიკის კანონმდებლობის სინდისიერათ შესრულება შეადგენდა, ერთი კალმის მოსმით სრულიად გაუქმა და მოსპო საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავარი კანონმდებლობა. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ და ვთქვათ, რომ ამას ვერც ერთი აშკარა კონტრ-რევოლუციონერი და თეთრგვარდიელი ასე მოხერხებულათ ვერ შეასრულებდა, „მოსამართლე" კიკნაძე მოიქცა სწორედ თვალთმაქცურათ და ვერაგულათ იმიტომ, რომ მან როგორც მემამულეების და ბურჟუაზიის ინტერესების ერთგულათ დამცველმა და ვექილმა სახალხო მოსამართლის ნიღაბი ჩამოიფარა, რათა ამ უკანასკნელთა დაცვა გაძვალტყავებული გლეხკაცობის პირისპირ უფრო კარგათ მოეწყო. თვალთმაქცურათ იმიტომ, რომ სიტყვით იგი თითქო „ხელმძღვანელობს სოციალისტური უფლება-შეგნებით", როგორც იგი თითონ ამბობს, დეკრეტით № 17, რომლის ძალით ჩვენში სამუდამოთ გაუქმდა ყოველივე უსამართლობა, რაც მიწის მფლობელობის ნიადაგზე არსებობდა, და საქმით კი ანუ თავისი განაჩენით, პირდაპირ სპობს ხსენებულ დეკრეტსაც და, საერთოთ ყოველივე იმას, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთა ან ცდილობს გააკეთოს მშრომელი ხალხის სასარგებლოთ.

მოქალაქე კიკნაძე თამამათ და ურცხვათ აცხადებს, რომ იგი ხელმძღვანელობს დეკრეტის № 17 სოციალისტური უფლება-შეგნებით და იმავე დროს გაყვლეფილ და გაძვალტყავებულ გლეხებს აიძულებს გადაიხადონ ლალა მიწის სარგებლობისათვის მუქთა ხორების სასარგებლოთ, ის ლალა, რომელიც იმათ არ გადაუხდიათ მენშევიკების დროსაც კი. საფუძველი? ამას ნუღარ იკითხავთ, ვინაიდან ეს არის ბ-ნ კიკნაძის მოღალატეობა და მუხანათობა. ბ-მა კიკნაძემ, როგორც მოსამართლემ, კარგათ დაგვანახვა, რომ იგი სახალხო მოსამართლე კი არა, მტერია ხალხის მას რა თქმა უნდა მიეზღვება თანახმად მის მიერ ჩადენილ საქმეთა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ კიკნაძეები ბევრია, კიკნაძეებით გავსებულია ყველა ჩვენი დაწესებულებები, იმათ ნახავთ ყოველგან, იმათ შეხვდებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ისინი არიან რომ ღალატობენ საბჭოთა ხელისუფლებას, ისინი არიან რომ ყიდიან მუშების და გლეხების საქმეს. შორს ჩვენგან ასეთი ვაჟბატონები! დაუზოგველი ბრძოლა იმათ წინააღმდეგ!

ფ. მახარაძე.

---

*) სავსებით დაცულია ბ. კიკნაძის სტილი. ხაზი ყოველგან ჩვენია.

ფ. მ.

საბჭოთა რუსეთის პრესა

სახელმწიფო კაპიტალიზმი და პროლეტარიატის დიქტატურა.

ეკონომიური პოლიტიკის „ახალი კურსი" იწვევს ჩვენს პარტიაში აზრთა ორნაირ „გადახრას". ზოგი ამხანაგები, რომლებსაც არ ესმით მისი საჭიროება და გარდამავალი ხასიათი, ერთნაირი პასსიური კრიტიკით უდგებიან მას, ზოგიც, პირიქით, ძალიან „ფართოთ" აშუქებენ მასვე და ამნაირათ გზა-კვალს უბნევენ იდეურათ არა საკმაოთ მომზადებულ წევრებს პარტიისას. განსაკუთრებით აზრეული წარმოდგენა აქვთ „სახელმწიფო კაპიტალიზმზე". საჭირო კი არის, რომ იდეურათ სრულიათ ნათლათ იყოს ის გაგებული: წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავსცდებით უდიდეს პრაქტიკულ შეცდომებს, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ პარტია შეუძლია შეიპყროს რღვევის აშკარა პროცესმა, თუ გარდატეხის მომენტში მან ვერ შეიმუშავა ნათელი აზრი ასეთ კითხვებზე.

როგორ ესმისთ ჩვეულებრივ სახელმწიფო კაპიტალიზმი? ამით სახავენ ეკონომიურ დამოკიდებულებათა ისეთ ფორმას, როდესაც საწარმოო საშუალებანი (როგორც ფაბრიკები, ზავოდები, მაღაროები, რკინის გზები და სხვ.) იმყოფებიან კაპიტალისტური სახელმწიფოს ხელში. ამნაირათ ვინ არის ასეთ შემთხვევაში საწარმოო საშუალებათა მესაკუთრე? სახელმწიფო ძალა-უფლებით აღჭურვილი შეკავშირებული ბურჟუაზია. ეს არის სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომელიც წარმოადგენს ბურჟუაზიის სიძლიერის უმაღლეს ფორმას. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის „ახალი კურსი" გულის ხმობს თუ არა ასეთ სახელმწიფო კაპიტალიზმს?

ბევრი ფიქრი არ არის საჭირო ამ კითხვაზე, რომ მყისვე უარყოფით გადავჭრათ ის. ჩვენ არ გვაქვს და არც გვექნება კაპიტალისტური სახელმწიფო. ძალა-უფლება არის პროლეტარიატის ხელში. საწარმოო ძალების მესაკუთრე არის არა ბურჟუაზია, არამედ სახელმწიფო ძალა-უფლებით აღჭურვილი შეკავშირებული მუშათა კლასი. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ წარმოების და მიწების ერთი გარკვეული ნაწილი გადაეცა კაპიტალისტებს კონცესიით. ეცემა თუ არა ამ შემთხვევაში ხელიდან პროლეტარიატის საკუთრება ამ წარმოებაზე და მიწებზე? იოტის ოდენადაც არა. ის აძლევს მათ კაპიტალისტებს იჯარით, მესაკუთრეთ კი მაინც მუშათა კლასი რჩება. მათი ბედ-იღბალის გამგებლობის უმაღლესი უფლება პროლეტარიატის ხელშია. რასაკვირველია, ასეთი იჯარის (კონცესიის) დროს ეს თუ ის წარმოება მთელი თავისი შინაური წესის მიხედვით იქნება მოწყობილი კაპიტალისტურათ; ცხადია, ის შეიქნება საკმაოთ კაპიტალისტურ წარმოებათ, რადგან ის მისცემს შემოსავალს არა მარტო პროლეტარულ სახელმწიფოს, არამედ მოგებასაც კერძო კაპიტალისტებს ან კაპიტალისტთა ტრესტს. მარა იმავე დროს სრულიად აშკარაა, რომ ასეთი „სახელმწიფო კაპიტალიზმი, როგორც ცა დედამიწისაგან, ისე შორს არის იმ მოვლენისაგან, რასაც ჩვეულებრივ (და თეორეტიულად სრულიად სამართლიანადაც) უწოდებენ სახელმწიფო კაპიტალიზმს. უნდა გაიგოს ყველა ამხანაგებმა, რომ ჩვენ მიერ განზრახული „სახელმწიფო კაპიტალიზმი" არის სრულიად თავისებური, სრულიად განსაკუთრებული ფორმა, რომელიც გულისხმობს ერთი მხრით პროლეტარიატის ხელისუფლებას, მეორე მხრით კი—კაპიტალისტურ მოიჯარადრეს.

ამის შეუგნებლობას მივყავართ ხანდახან ფრიად ცრუ დასკვნამდე. ზოგიერთები მაგალითად სიტყვას ვერ დასძრავენ, რომ არ მოიხსენიონ „კაპიტალიზმი" და ოცნებობენ თითქმის საყოველთაო დენაციონალიზაციაზე. აქ საჭიროა გადაჭრით ითქვას: არც ერთგვარი დენაციონალიზაციაზე ლაპარაკი არ არის, რადგან რას ნიშნავს დენაციონალიზაცია? მასში გულისხმობენ სახელმწიფო (ან კომუნალური) წარმოებათა კერძო საკუთრებაში გადასვლას. როდესაც პროლეტარიატი იჯარით აძლევს კაპიტალისტს ფაბრიკას ან მაღაროს, არის ეს დენაციონალიზაცია? სრულიადაც არა. რადგან იჯარა და საკუთრება—ეს ორი სხვადასხვა რამ არის. ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვქნათ ეს, თუ გვინდა ვისარგებლოთ კაპიტალით; დავთანხმდეთ მისთვის რაიმეს იჯარით მიცემაზე. მარა ჩვენ ვერ დავთანხმდებით, რომ სახელმწიფო საწარმოო საშუალებანი გადავცეთ მას საკუთრებათ. ამიტომ ლაპარაკი დენაციონალიზაციის შესახებ ნაყოფია ზოგიერთების დაავადებული ფანტაზიის.

ჩვენ უნდა გავატაროთ ახალი კურსი შეურყევლათ, მარა ფრთხილათ, გაბედულათ, ისე რომ არ ავჩქაროთ ამ, რაც უნდა ითქვას მაინც სახიფათო გზაზე. ჩვენ მივიწევთ არა „ჯანმთელი კაპიტალიზმისაკენ", არამედ ჩვენ გვიძევს წინ გზა კომუნიზმისაკენ, გზა, რომელზედაც იძულებული ვართ—საერთო დაღლის, მთელი მსოფლიოს წინააღმდეგობის და თავგანწირული ბრძოლის გამო—კი არ წავიდეთ, არამედ ვიხოხოთ, ათასი მიხვეულ მოხვეულებით, შემოვლით ხშირათ უკანაც დაბრუნებით, რომ ამით კვლავ საშუალება ვიხელოთ წინ გავეშუროთ.

„პრავდა"

კომინტერნის მესამე კონგრესი.

სხდომა მეოთხე (25 ივნისი).

სხდომას ხსნის 12 საათზე 15 წ. ამხ. ლენინი და სიტყვას აძლევს ამხ. რადეკს მოხსენებისთვის სამანდატო კომისიისაგან.

ამხ. რადეკი იტყობინება, რომ წინასწარი გამოანგარიშებით კონგრესს ესწრება დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 219 სათათბიროთი 100-მდე სტუმრები 48 ქვეყნიდან. ამას გარდა წარმოდგენილია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი პოლონეთის „ბუნდი", ახლო და შორეულ აღმოსავლეთის ბიურო და „პოალეი ციონი". „ბუნდი" (პოლონეთი) და „პოალეი-ციონი" [illegible] სათათბირო ხმით კომუნისტურ ინტერნაციონალში მათი შესვლის საკითხის გადაწყვეტამდე.

შემდეგ ამხ. რადეკი გადადის საკითხზე ხმების დანაწილების შესახებ კონგრესზე და უთითებს, რომ პარტიის ერთი რიცხვობითი შემადგენლობით შეუძლებელია ხელმძღვანელობა იმ ხმების რაოდენობის განსაზღვრის დროს, რომლებიც უნდა მიეცეს ამა თუ იმ პარტიას. სახეში უნდა ვიქონიოთ კიდევ ქვეყნის პოლიტიკური მნიშვნელობაც და მუშათა მოძრაობის განვითარების სიდიდეც. სამივე ეს მომენტი გაითვალისწინა კომისიამ და შეიმუშავა ხმების განაწილების შემდეგ [illegible]: ქვეყნების პირველი ჯგუფი, რომელშიც შედიან: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი, ჩეხო სლოვაკია, ღებულობს 40—40 ხმას. ამავე ჯგუფში შედის ახალგაზრდობის კავშირიც თავისი 800 ათას წევრით. მეორე ჯგუფი: ინგლისი,—ამერიკა, პოლონეთი, უკრაინა, ნორვეგია, იუგო-სლავია და ბულგარეთი ღებულობს 30—30 ხმას. მესამე ჯგუფი, რომელშიაც შედიან: ფინეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვეიცარია, ჰოლანდია, ბელგია, შვეცია, ლატვია, ლიტვა და ავსტრია, ღებულობს 20—20 ხმას. მეოთხე ჯგუფში შედიან: აზერბაიჯანი, საქართველო, დანია, ლიუქსემბურგი, ესტონეთი, სპარსეთი და ოსმალეთი. მათ მიეცათ 10—10 ხმა. სამხრეთი აფრიკა, მექსიკა, არგენტინა, ავსტრალია, ირლანდია, ახალი ზელანდია. ჰოლანდიის ინდოეთი, კორეია და სომხეთი ღებულობენ 5—5 ხმას. ჩინეთის, ბუხარის, თურქესტანის, ხივის, მონღოლიის და პალესტინის წარმომადგენლებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ კონგრესის მუშაობაში სათათბირო ხმით. იაპონიიდან კონგრესს ესწრებიან კორეია-იაპონიისა და ამერიკა-იაპონიის ორგანიზაციების წარმომადგენლები სათათბირო ხმით. მიღებულია ცნობა, რომ წამოვიდა კონგრესზე იაპონიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც, რასაკვირველია, გადამწყვეტი ხმა მიეცემა.

დასასრულ ამხ. რადეკი წინადადებას იძლევა მიიღონ უკამათოდ, როგორც მოხსენება, ისე „სამანდატო" კომისიის წინადადებანი. კონგრესი ღებულობს კომისიის ყველა წინადადებებს.

სიტყვას მოხსენებისათვის კომინტერნის აღმასკომის მოქმედების შესახებ ღებულობს ამხ. ზინოვიევი.

ამხ. ზინოვიევის მოხსენება.

მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი,—ამბობს ამხ. ზინოვიევი,—მესამე წელია უკვე რაც არსებობს, მაგრამ აღმასკომი კი, როგორც დაწესებულება, რომელიც შემდგარია მთელ რიგი პარტიების წარმომადგენლებისაგან, სულ მხოლოთ ერთი წელიწადია დაწყებული მეორე კონგრესიდან. მე 2 კონგრესის დროს ზოგიერთმა ამხანაგებმა, მაგალითად, გერმანელმა ამხანაგებმა, განაცხადეს, რომ სრულიადაც არ არის აუცილებელი მიიღონ უცხოეთის დელეგატებმა მუდმივი მონაწილეობა აღმასკომის მუშაობაში და რომ მთელი ეს მუშაობა უნდა მივანდოთ რუსეთის ამხანაგებს. მხოლოთ რუსი ამხანაგების დაჟინებითი მოთხოვნით, რომ უმთავრესს დელეგაციების არა ნაკლები 10 წარმომადგენლისა შეყვანილ უნდა იქნეს აღმასკომის შემადგენლობაში მუდმივ სამუშაოთ, აღმასკომი მოეწყო დღევანდელი სახით. მაგრამ ყველა პარტიებს არ შეუსრულებიათ თავისი მოვალეობა აღმასკომის მიმართ, და ახლა ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომისთვის, რომ აღმასკომი იქნეს ინტერნაციონალური კომუნისტური მოძრაობის ნამდვილი გამომხატველი

და შეიძლოს ორგანიზაციული მუშაობის წარმოება ინტერნაციონალური კომუნისტური მოძრაობის ნამდვილი გამომხატველი და შეიძლოს ორგანიზაციული მუშაობის წარმოება ინტერნაციონალური მასშტაბით.

ის კონგრესი მოწვეულია რამდენიმეთ უფრო ადრე, ვიდრე ამას მოითხოვს კომინტერნის წესდება. მაგრამ ამ კონგრესის მოწვევის დროს ჩვენ გამოვდიოდით იმ დიდი პასუხის მგებლობის შეგნებიდან, რომელიც აიღო თავის თავზე აღმასკომმა, და აგრეთვე კომუნისტური მოძრაობის იმ უდიდეს განვითარებიდან, რომელიც [illegible] უკანასკნელ პერიოდში და იმ ზოგიერთ სადავო კითხვებიდან, რომლებიც წამოიჭრა მსხვილ ქვეყნებში.

ათი თვის განმავლობაში აღმასკომს ქონდა 31 სხდომა, რომელზედაც გარჩეულ იქნა 196 საკითხი; მათგან 128 წმინდა პოლიტიკური, დანარჩენი—ორგანიზაციული. რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომლების შესახებაც გამოიტანა მსჯავრი აღმასკომის სხდომებზე, გერმანიას უკავია პირველი ადგილი მასთან უკეთესი კავშირის გამო; მის შესახებ სხდომებზე 21 ჯერ იყო ლაპარაკი, იტალიაზე—12 ჯერ, საფრანგეთზე—9 ჯერ, ჩეხო სლოვაკიაზე—12 ჯერ, ინგლისზე—8 ჯერ და სხვ. ამას გარდა მუშაობდა აღმასკომის მცირე ბიურო შვიდი ამხანაგისაგან შემდგარი (გერმანელისა და ფრანგის [illegible]), რომელსაც ქონდა ორჯერ უფრო მეტი სხდომები. გადადის რა აღმასკომის მუშაობის შინაარსზე და ხასიათზე, ამხ. ზინოვიევი უპირველესად ყოვლისა მიუთითებს მე-2 კონგრესის ძირითადი პრინციპიალურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მისი მუშაობის საფუძვლათ იქნა აღებული განვლილ პერიოდში. მე-2 კონგრესმა გამოარკვია კომინტერნის კონსტიტუცია, გამოიმუშავა მისი სტატუტი და ტაქტიკა. ჩვენ, ერთი მხრით, უნდა გამეგვემარჯვენებია, ეგრედ წოდებული „მემარცხენე" მიმდინარეობანი, რომლებიც გაჩნდენ გერმანიაში, იტალიაში, ინგლისში და ამერიკაში. ავიღოთ, მაგალითად ისეთი საკითხი, როგორიცაა დამოკიდებულება ინგლისის მუშათა პარტიასთან. ზოგიერთი ინგლისელი ამხანაგები კატეგორიულათ წინააღმდეგი იყვნენ მუშათა პარტიაში მონაწილეობის, მისი ოპორტიუნისტობის გამო. მაგრამ ჩვენი დაჟინებით მოვითხოვდით ამ პარტიაში შესვლას, გვქონდა რა სახეში ის, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ინგლისი, აუცილებელი საჭიროა თითეული ფართო მუშათა ორგანიზაციის გამოყენება, მასში შესვლა და მის შიგნით ენერგიული მუშაობის გაჩაღება, რათა გადმოვიყვანოთ ჩვენს მხარეზე მუშები. იმავე დროს ჩვენ ვაწარმოებდით იდეიურ ბრძოლას მე 2 კონგრესზე იმ ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც წინააღმდეგ, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ პარლამენტარიზმის გამოყენების. ამხ. ბორდიგა მისი ჯგუფით, დღევანდელი ჩვენი საუკეთესო მეგობრები ილაშქრებდნენ მაშინ პარლამენტარიზმის წინააღმდეგ და მათ მხარს უჭერდა ნაწილობრივათ ბელგია, შვეიცარია. მაგრამ ჩვენ შევსძელით დაგვეჯერებია ამხანაგები.

მეორე საკითხი, რომლის გარშემო ხდებოდა კომუნისტური მოძრაობის კრისტალიზაცია, იყო საკითხი ცნობილ 21 პირობის შესახებ. ამ პირობების წინააღმდეგ გაილაშქრეს ყოველ მხრიდან ოპორტიუნისტებმა, ცენტრისტებმა და ნახევრათ ცენტრისტებმა. და თუ მარცხნივ ჩვენ არ გვყავდა მტრები, ხოლო შემდეგ კი მივიღეთ საუკეთესო ერთგული, გულწრფელი მეგობრები, მარჯვნივ იყვენ წყეული მტრები.

ობიექტიური გარემოება მე-2 კონგრესის დროს ბლოკადის, უფრო დაშორებულ ქვეყნების სოციალისტური მოძრაობის და სხვ. არა საკმარისათ გაცნობის გამო, აძნელებდა მაშინ მდგომარეობას. ყოველ ცენტრისტს სურდა მაშინ მე 3 ინტერნაციონალში შესვლა. ეს მოდათ გადაიქცა. ასე მაგალითად ხილკვიტმა ამერიკიდან, ამ ამერიკელმა დიტმანმა, გამოგზავნა ჩვენთან თავისი დელეგატები, იტალიის რეფორმისტებმა დარაგონის მეთაურობით. პროლეტარულ მოძრაობის ამ დღევანდელმა საბოტაჟნიკებმა ერთხმათ განაცხადეს თავის შეერთებაზე კომუნისტურ ინტერნაციონალთან. ჩვენ მივიღეთ პირველათ იტალიელები, როგორც მეგობრები. პეტროგრადში ათეული ათასი მუშები პირდაპირ ხელით ატარებდენ სერატის და მის მეგობრებს,—ასე დიდი იყო მუშების ნდობა მათდამი. ახლა ჩვენ ვიცით, რომ დარაგონა და კომპ. ჩვენ გვატყუებდა, რომ მათი უმთავრესი მიზანი იყო კომინტერნში შემოპარვა, რათა შიგნიდან გაეწიათ მისთვის საბოტაჟი. და ეს სიყალბე, ეს პირმოთნეობა ამხილა 21 პირობამ.

ვინ აღმოჩნდა მართალი იმ დავაში, რომელსაც ვაწარმოებდით ჩვენ მე-2 კონგრესზე. ინგლისის მუშათა პარტიამ დაადგინა, როგორც იცით, გამორიცხოს, არ შეუშვას კომუნისტები. შეთანხმებლებმა გაიგეს, რომ შეკავშირებული კომუნისტები დიდ საფრთხეს წარმოადგენენ მათთვის. შეადარეთ ამას იმ სერატის გულუბრყვილო, ვითომ და გაკვირვება, რომელიც აზრზე ვერ მოსულა იმის გამო, რომ ჩვენ ვითხოვთ ტურატისა და სხვების გაძევებას, ხოლო ინგლისში კი პირიქით სავალდებულოთ ვუხდით კომუნისტებს მუშათა პარტიაში შეჭრას. სერატის აქ გულუბრყვილოთ მოაქვს თავი. მას მშვენივრათ ესმის აქ არსებული განსხვავება.

ჩერდება რა მე 2 კონგრესის დადგენილებათა სხვა და სხვა პარტიების მიერ სისრულეში მოყვანაზე, ამხ. ზინოვიევი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მძიმე პირობებში იყო საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში და შვეიცარიაში საკითხი პარტიის წევრების შესახებ პარტიული დისციპლინისათვის და მათ მიერ ჭეშმარიტად რევოლუციონურ ტაქტიკის გატარებისათვის.

მომენტის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს კიდევ უფრო მჭიდრო კავშირის აღდგენაში მასსებთან. განსაკუთრებით ინგლისში და ამერიკაში, სადაც კომუნისტური პარტიები ჯერ კიდევ სუსტებია, მაგრამ მასსები საკმარისათ რევოლუციონურნი, კომუნისტების ამოცანაა აამოძრაოს ეს მასსები, განავითარონ მაქსიმალური პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, დაუზოგველათ ამხილონ ოპორტიუნისტები და ცენტრისტები, ჩამოაცალონ მათ მასსებს, მოსპონ მათში სოციალ-პატრიოტების მიერ შექმნილი ილუზიები.

ახასიათებს რა აღმასკომის მოღვაწეობას ქრონოლოგიურათ, ამხ. ზინოვიევი აღნიშნავს, რომ ყველაზე უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენდა არა იმდენათ გერმანიის, რამდენათაც იტალიის საკითხი. როდესაც იტალიის დელეგატები ჩამოვიდენ მე-2 კონგრესზე, ჩვენ მათ არ ვიცნობდით და მეგობრულათ მივიღეთ. მაგრამ სხდომების ოქმების უკვე ერთი წაკითხვითაც გაკვირვებაში მოვდივართ, თუ როგორ ვიქენით ჩვენ მოტყუვილებული. სერატი კონგრესზე პრინციპიალურ საკითხების შესახებ გამოვიდა ოთხჯერ: ნაციონალურ, აგრარულ, 21 პირობის და კომინტერნის ძირითად ამოცანათა საკითხების შესახებ და თითეულ ამ საკითხზე ის ან წინააღმდეგ გამოდიოდა ან და „თავს იკავებდა". შემდეგმა ამბებმა დაგვანახა სერატისა და სერატისტების ნამდვილი სახე. ჩვენ დავბეჭდეთ ოთხ ენაზე და დავურიგეთ ყველა დელეგატებს დოკუმენტების წიგნი, რომელიც წარმოადგენს უმთავრესათ თვით სერატის სტატიებისა და რეზოლიუციების კრებულს. ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ მისი ჯგუფი არაა კონგრესზე და რომ მოგვიხდება იტალიის საკითხის გარჩევა იმ დროს, როდესაც ისინი არ არიან. მაგრამ ჩვენ ჩვენი მხრით ყველაფერი ვქენით, რაც კი შესაძლებელია, რომ ისინი მოსულიყვენ კონგრესზე. ჩვენ გავაფრთხილეთ ისინი 3 ნახ. თვის წინ, ჩვენ მათ ორჯერ გავუგზავნეთ დეპეშა, მაგრამ აი უკვე სამმა კვირამ განვლო იმ დღიდან, როდესაც კონგრესი უნდა გახსნილიყო და ისინი კი არ არიან.

შემდეგ ამხ. ზინოვიევს მოყავს ციტატები დასახელებულ წიგნიდან, რომელიც სერატის მოღვაწეობას და მის წასვლას კომუნიზმიდან ოპორტუნიზმისაკენ.

უკვე პირველივე სტატიაში, რომელიც მოთავსებულია „ავანტში" მაშინათვე კონგრესის შემდეგ, სერატი ცდილობს ყოველნაირათ სახელი გაუტეხოს მიმხდარ მე 2 კონგრესს. ის მიუთითებს იმაზე, რომ ვითომ კონგრესზე თავი მოიყარეს ისეთმა დელეგატებმა, რომლებიც არ იყვნენ აღჭურვილი სავსებით წარმომადგენლობითი უფლებებით, და, ამ გვარათ, გამოთქვამდენ მხოლოთ თავიანთ პირად აზრებს. კონგრესის გარეგნული პირობები ბლოკადის გამო პრესისა და პარტიის კონტროლის უქონლობით ვითომცდა აძლევდა კონგრესის სხდომებს დახურულ სხდომების ხასიათს. კონგრესის მუშაობას ეტყობოდა, რომ ის ცუდათ იყო გაცნობილი მოძრაობასთან სხვადასხვა ქვეყნებში, კონგრესის სხდომები ხდებოდა ძლიერი მთავრობის მფარველობის ქვეშ, ხმების განაწილება არ შეეფერებოდა შესაფერის კაპიტალისტურ სახელმწიფოების [illegible]ლობას და რიცხვობითი შემადგენლობასა და სხვ. ამას სწერდა სერატი სექტემბერში 1920 წ. ე. ი. კონგრესის დახურვიდან ორი კვირის შემდეგ. კონგრესიდან იტალიაში დაბრუნებისას სერატიმ ერთი, წუთით მოისხა მემარცხენეობის მოსასხამი: ის მოითხოვდა უფრო მაგარ პოლიტიკას მარჯვნივ მდგომ ელემენტების მიმართ. განსაკუთრებით ცუდ შეხედულების იყო ის ფრანგებზე: მას რატომღაც არ მოსწონდა ისინი. შემდეგ მან ლაპარაკი დაიწყო 22 პირობაზე—კომინტერნში ფრანკმასონების არ დაშვების შესახებ და სხვ. ნამდვილათ კი საქმე შემდეგში იყო: წინადადება ფრანკმასონების შესახებ შემოტანილი იყო თვით სერატის მიერ და, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგ სიტყვაც არ დაძრულა. მხოლოთ ნათქვამი იყო, რომ ზედმეტია მისი შეტანა პირობებში. ჩვენთვის ეს ისევე თავისთავად იგულისხმება, როგორც ის, რომ არ უნდა ამოიღო ცხვირსახოცი ჯიბიდან. მაგრამ სერატი შეეცადა გამოეყენებია ეს იმისთვის, რათა დაენახვებია იტალიის მუშებისათვის, რომ ვითომ ჩვენ ვითმენთ ფრანკმასონებს.

შემდეგ ეს კითხვები ირჩეოდა იტალიის პარტიის ცეკაში. შეტანილი იყო ორი რეზოლიუცია: ერთი ამხ. ტერაჩინის მიერ 21 პირობის უსიტყვოთ მიღების სასარგებლოთ, მეორე ბარატონის, პირობების მიღების სასარგებლოთ, მაგრამ იტალიის პირობებში თავისუფალ მოქმედების დაშვებით. ცეკას უმრავლესობა მიემხრო ამხ. ტერაჩინის რეზოლიუციას. მაშინ სერატიმ განაცხადა, რომ ის თავიდან იხსნის „ავანტის" რედაქტორობის მოვალეობას. და აი ჩვენმა ამხანაგებმა, იმის მაგივრათ, რომ აღფრთოვანებით მისალმებოდენ ამ განცხადებას, დაარწმუნეს ის არ დაეტოვებია ეს პოსტი. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ სერატიმ მეორე დღეს დაიწყო „ავანტიში" კამპანია მე 3 ინტერნაციონალის აღმასკომის წინააღმდეგ და ეს კამპანია სავსეა ჯერ არ ნახული სიცრუითა და სიბილწით.

(შემდეგი იქნება)

წითელ რესპუბლიკებში.

საქართველო.

ბავშვთა ბაღის გახსნა.

ფოთი, 26 ივლისი. კვირას 24 ივლისს, ქ. ფოთში ნაბერტურის რაიონში ამხ. ფ. მახარაძის თანდასწრებით გაიხსნა მშრომელ ხალხის ბავშვებისათვის ბავშვთა ბაღი.

სტენოგრაფიის კურსი.

ბათუმი. 27 ივლისი. მუშათა კლუბთან მოწყობილია სტენოგრაფიის კურსები.

სამოქალაქო პანაშვიდი.

ბათომი. 27 ივლისი. სომხეთის საქმეთა საკონსულოში 27 ივლისს მუშაობა შეწყვეტილი იყო კონსტანტინეპოლში მოკლულ სომხეთის სახ. კომისარი ჯევანშირის პანაშვიდის გამო.

საქონლის გაცვლა.

ბათომი. 27 ივლისი. 27 ივლისს ბათომში ჩამოვიდა სამი გემი ოსმალეთიდან დატვირთული შაქრით, თეთრი თუნუქით და მანუფაქტურით.

ოსმალეთისა და კავკასიის ნავთსადგურებში 8 გემი გავიდა ნავთითა და საპნით დატვირთული.

გემმა „ჯორჯიამ“ 804 ტონი ტვირთი ჩამოიტანა; შაქარი, მანუფაქტურა, საპონი, ტყავეულობა და ბრინჯი, აგრეთვე 55 მგზავრი ჩამოიყვანა. მათ რიცხვში 29 ქართველი ლტოლვილი, რომლებმაც მოისურვეს სამშობლოში დაბრუნება და რომლებმაც მიიღეს საქართველოს ელჩიდან კონსტანტინოპოლში თვითეულმა 15 ლირა სამგზავროდ და საერთოთ ყველაზე 100 ლირა ამხ. მოდებაძისგან, რომელმაც მოუხერხა უფასო გამომგზავრება ბათომამდე.

— გემ „ჯორჯიამ“ აგრეთვე ჩამოიტანა 618 შეკრული საქონელი, რომელიც კონსტანტინოპოლში ევაკუაციის დროს მენშევიკებმა გაიტანეს. შემდეგ პარტიას ჩამოიტანენ გემით „მიხეილ არქანგელით“, რომელიც ამ ჟამად იტვირთება ამხ. მოდებაძის მიერ ნაყიდი საქონლით.

— ივლისის 20 და 21 ოსმალეთისა და ყირიმის ნავთსადგურებიდან 8 მატორიანი იალქნიანი გემი შაქრით, ფქვილით, მანუფაქტურით თეთრი თუნუქით, მარილითა და სიმინდით დატვირთული. მოვიდა ოსმალეთისა და საქართველოს ნავთსადგურებში 7 მატორიანი და იალქნიანი გემი გავიდა.

— გემი „პოლონეთი“ ჩამოვიდა, რომელიც [illegible] ბაქოს ნავთის კომიტეტმა და რომელმაც 48,000 კილო ტვირთი ჩამოიტანა, შესყიდული კონსტანტინოპოლში ბაქოს საბჭოს მრეწველობისთვის. გემმა ჩამოიტანა ფქვილი, შაქარი, შეკრული ტანსაცმელი, ავტომობილები, საპონი და მანუფაქტურა.

კომერციული ზედამხედველობა რკინის გზებზე.

ამიერკავკასიის გაერთიანებული რკინის გზა კომერციულ ზედამხედველობის მხრივ იყოფა 5 სარევიზიო უბნებად:

1-ლი უბანი—ფოთიდან ბათომამდე და [illegible] აგრეთვე ბორჯომამდე, [illegible] და სურამამდე—სურამიდან კომერციული რევიზორი დოგონაძე, საცხოვრებელი ბინა—ქუთაისი.

მეორე უბანი—ხაშურიდან აქსტაფამდე — ქ. ტფილისი და კახეთის შტოს სანიშნამდე—კომრევი [illegible], საცხოვრებელი ბინა—თბილისში.

მესამე უბანი—აქსტაფადან აჯიქაბულამდე—კომრევი მირიმანოვი; საცხოვრებელი ბინა—განჯაში.

მეოთხე უბანი—აჯიქაბულიდან ბაქომდე, სურახანამდე, პეტროვსკ ნავთსადგური პეტროვსკ ნავთსადგურითურთ—კომერციული რევიზორი—[illegible], საცხოვრებელი ბინა—ბაქოში.

მეხუთე უბანი—სანაინიდან ჯულფასა და ერევანამდე, კომერციული რევიზორი — გოლვია საცხოვრებელი ბინით—თბილისში. კომერციული რევიზორი თუხარელი ინიშნება უფროს რევიზორ-ინსტრუქტორად სამმართველოსთან.

შავი ნავთის გადაქაჩვა.

აზერბეიჯანის რევკომის წინაშე აღძრულია საკითხი ნავთმილით ნავთის გადაქაჩვის შესახებ.

რუსეთი.

დახმარება დამშეულთ რუსეთში.

ნაუენი, 27 ივლისი. (რადიო). მოსკოვიდან და პეტროგრადიდან გაიგზავნა რამდენიმე ასეული სტუდენტი დამშეულ გუბერნიებში მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენად. სრულიად რუსეთის გაერთიანებულ მუშათა კავშირმა მიმართა საერთაშორისო პროლეტარიატს თხოვნით დახმარების შესახებ. ფაბრიკა-ქარხნებში საზოგადო სამზარეულოები ეწყობა. პეტროგრადის ფაბრიკების მუშებმა გადასწყვიტეს გადასდონ დამშეულთათვის ყოველ კვირა ორი დღის ულუფა.

კომპარტიის საფუძვლები.

მოსკოვი, 27 ივლისი. (რადიო). (დასასრული არ მიგვიღია)... სწერს: „ჩვენი რევოლიუცია განიცდის (დამახინჯებულია)... სიმშილმა, რომელიც თავს დაგვატყდა, მოგვიტანა წარმოუდგენელი შეფერხებანი. პარტია ახლა ხელმძღვანელობს რევოლიუციის ერთ უძნელეს ეტაპათ. მუშათა კლასი, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, მიდის უდიდეს დათმობაზე. ძალთა შეფარდება ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიო რევოლიუციის სარბიელზე [illegible] გვიკარნახებს ჩვენ ამას. მთავარი საშიშროება—წვრილი ბურჟუაზიული სტიქია. იმ მიზნით, რომ ჩვენმა პარტიამ ჩვენს ქვეყანას მშვიდობიანად გაატარებინოს ეს აუცილებელი ნაბიჯი, იმისათვის, საჭიროა, რომ ჩვენი პარტია უფრო მტკიცე, ვიდრე როდესმე ჩამოყალიბდეს ერთ ნაწილად. საჭიროა სისტემატიური ბრძოლა წვრილ ბურჟუაზიის გავლენის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ შეიჭრან ჩვენს შემადგენლობაში. აუარებელ საჭიროებას წარმოადგენს ყოველ იაჩეიკის, ყოველ ამხანაგის გადასინჯვა, შეუჩერებლივ, მიუხედავად იმისა თუ ამხანაგს დიდი თანამდებობა უკავია. უნდა გამოვუცხადოთ ომი კარიერიზმს, უგულო ფორმალიზმს, რომლებიც სცდილობენ ჩვენს რიგებში ფეხის გამაგრებას, უნდა მივაღწიოთ იმას, რათა ჩვენს წევრთა შორის იყვნენ (დამახინჯებულია) რათა ჩვენი პარტია შესდგეს მხოლოდ ნამდვილ კომუნისტებიდან რომელთა მიზანიცაა პროლეტარულ რევოლიუციის კეთილდღეობა. დაიცვა წოდება რევოლიუციონურ კომუნისტისა, კომუნისტურ პარტიის წევრისა. დეე [illegible] იმას, რომ ეს სახელი ატარონ მხოლოდ იმეებმა ვინც ნამდვილად ღირსია ამის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ოსმალეთი.

ქართველი ლტოლვილები კონსტანტინოპოლში.

ბათომი, 27 ივლისი (ტელ.) კონსტანტინოპოლიდან გემ „ჯორჯით“ ჩამოსულ პირთა სიტყვით, ქართველ ლტოლვილებს 20 [illegible] იუნკერს გზავნიან საფრანგეთში იმ მიზნით, რომ იქ სამხედრო სასწავლებელში სწავლა მიიღონ. კონსტანტინოპოლიდან მალე გამოგზავნიან ბათომში ლტოლვილების ახალ პარტიას რიცხვით 150 კაცს. ლტოლვილების სიტყვით ფაჩულიას და კედიას კონსტანტინოპოლში რესტორანი გაუღიათ.

კედია აგრეთვე მსახურობს საფრანგეთის მაძებარ პოლიციაში, ხოლო ფაჩულია ოსმალეთისაში. ვალიკო ჯუღელი აშკარად ყიდდა კონსტანტინოპოლის ქუჩებში ოქროს ხატს გელათის მონასტრიდან. ბათუმის განსაკუთრებულ რაზმის ყოფილი უფროსი [illegible] უცხოელმა იცნო, რომელსაც ბრალად ედება ამ უცხოელების გაძარცვის დროს რამოდენიმე ასი გირვანქა სტერლინგის ჩამორთმევა. იგი დააპატიმრეს და გაჩხრეკის დროს ბინაზე უპოვეს მრავალი ძვირფასეულობა. ყველაფერს კონფისკაცია უყვეს, როგორც ჩუმად მოპარულს. იგი ციხეში ერთი თვე იჯდა და ციხიდან გამოსვლამდე მაგრად სცემეს.

ქრონიკა

ავადმყოფობა აზერბეიჯანისა და სომხეთის რკინის გზებზე. მოსამსახურეთა დაავადმყოფობის გამო, შემცირებულ შტატების შესავსებათ მიღებულია ზომები საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეთა მივლინების გზით, ამას გარდა განზრახულია მოკლე ვადიან კურსების გახსნა აგენტების მოსამზადებლათ. როგორც მასწავლებლებს იწვევენ მოძრაობის რევიზორებს და აგრეთვე მივლინებული არიან ინსტრუქტორებიც. დაავადმყოფობის დიდ პროცენტის გამო გზათა უფროსმა ივლისის 28-ს მიმართა როსტოვში არსებულ გზათა მიმოსვლის კავკასიის ოლქის უფროსს დეპეშით, რომელშიაც აღნიშნავს რა საზოგადოდ შტატის ნაკლებობისა და აღმოსავლეთ სამხრეთ უბნებში დაავადმყოფებათა დიდ პროცენტის გამო, რითაც ამიერ-კავკასიის გზებს აყენებს მეტად მძიმე პირობებში, სთხოვს ხალხით აუცილებელ დახმარების აღმოჩენას. გთხოვთ, ნათქვამია დეპეშაში, თქვენს განკარგულებას რათა სხვა გზებიდან მოვლინებულ იქმნენ შემდეგი პირნი: 20—სადგურის უფროსი 40—სადგურის უფროსის თანაშემწენი. 80—სათადარიგო აგენტი 60—მატარებლების შემადგენელნი. 70—გადამბმელი, 400—მეისრე, 40 აწონი. სულ 810 კაცი. საჭიროა რათა მოვლინებულ იქმნენ ის პირნი, რომლებიც განაცხადებენ სურვილს მუდმივი სამსახურისა.

◆ **ქვა-ფენილების შეკეთება.** თფილისის კომუნალურ მეურნეობის საალმშენებლო განყოფილებამ საქალაქო რევკომში წარადგინა ქვა-ფენილ ქუჩების შეკეთების ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი, შესაკეთებლათ საჭიროა ერთი მილიარდი მანეთი.

◆ **საავადმყოფო კასის ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია.** კონფერენციამ ერთხმათ აირჩია გამგეობის შემდეგი ახალი წევრები: იაშვილი, ჯუღელი, ჯავაირა, გოდაბრელიძე, მალახია, კაიკა, პიმენოვი [illegible] აკოპოვი, სიტნიკოვი, ავეტიკოვი და არჩეულ სარევიზიო კომისიაში: გოლდგანი, ტურუნჯოვი, ხარაზიანი, ტურიონოვი და თურმანიძე.

◆ **შრომის კოლონიები.** სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მოეწყოს შრომის კოლონიები ინვალიდებისათვის. ამისათვის გამოყენებულ იქნეს მონასტრები. ასეთი კოლონიების ორგანიზაცია დაიწყოს ბოდბის მონასტრიდან, ამ კოლონიის ხელმძღვანელობა მიენდო ამხ. გეგიაშვილს.

◆ **სახლების შეკეთება.** თფილისის კომუნალურ მეურნეობის საალმშენებლო განყოფილებამ შეადგინა სახლების შეკეთების ხარჯთაღრიცხვა, ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 500 მილიონ მანეთს. ეს თანხა უნდა გადაეცეს სამინაო ქვე-განყოფილებას საბჭოთა და იმ სახლების შესაკეთებლათ, სადაც სამინაო ქვეგანყოფილება მოათავსებს მობინადრეთ. აღრიცხვის პროექტი დასამტკიცებლათ წარედგინა საქალაქო რევკომს.

◆ **სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა.** ორთაჭალაში შედგა სასოფლო სამეურნეო მშრომელთა საწარმოვო ამხანაგობა „იმედი“ მის განკარგულებაშია 3 დესეტინამდე ბაღი და საბოსტნე ადგილები. ამხანაგობაშია 11 წევრი.

შორაპნის მაზრაში შემდგარია ახეთი ამხანაგობა რომელიც აერთიანებს 100 კომლ. გლეხობას.

◆ **პლეხანოვის პროსპექტის შეკეთება** უკვე დაწყებულია. სასოფლო სამეურნეო შრომის კომუნები და ამხანაგობები მიწად მოქმედების სახ. კომისარიატთან არსებულ კოლექტიურ მეურნეობის ქვეგანყოფილებას განზრახული აქვს გამოიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო მშრომელთა საწარმოვო კომუნებისა და ამხანაგობებისათვის მთავრობის მხრივ დასახმარ თანხის ნორმა თითეულს გარდა სასოფლო-სამეურნეო და ცოცხალ და მკვდარ ინვენტარისა უნდა მიეცეს ფულითაც 5 მილიონი მანეთი. ამ მიზნით გადაიდება 800 მილიონი მანეთი. რაც თანაბრათ გაუნაწილდება რესპუბლიკაში 160 ს.სოფლო სამეურნეო კომუნებს,

◆ **შუამდგომლობა წისქვილების ნაციონალიზაციის შესახებ.** ქუთაისის მაზრის რევკომის შინაგან მმართველობის განყოფილებამ წარუდგინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ოქმი წყალტუბოს თემის, ყრილობისა, რომელსაც ხელს აწერს 557 კაცი. ყრილობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, თემის საზღვრებში ყველა არსებულ წისქვილების ნაციონალიზაციის შესახებ. ანალოგიური შუამდგომლობა შემოვიდა აგრეთვე სენაკის სამაზრო რევკომიდან. ორივე ეს შუამდგომლობა შინაგან სახალხო კომისარიატმა გადაუგზავნა განსახილველად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

წარმოებითი პროფკავშირებში

ხის დამმუშავებელთა კავშირში

დროებითმა ბიურომ ცხოვრებაში პროფმოძრაობის და წარმოების ასაწევად საპროპაგანდო კვირის გასატარებლათ დაავალა საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას აღნიშნულ საკითხებზე წარმოებებში კრებების მოწყობა,

ბიუროსთან დაარსდა დისციპლინარული სასამართლო.

ალმშენებელ მუშათა კავშირში.

ალმშენებელ მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ბათომის შარა გზის დისტანციის და ბათომის ქალაქის საალმშენებლო კომისიის მდგომარეობის შესახებ. ბათომის და მის ოლქის გასაბჭოების მომენტიდან მოწყობილ იქმნა საალმშენებლო მუშათა კავშირი, რომელიც აერთიანებდა ქალაქს და მის ოლქის საალმშენებლო მუშებს. საალმშენებლო მუშაობის შესრულების საქმის და წარმოების აწევას შეხვდა მრავალი შეფერხება არსებულ ბათომის ოლქის სახელმწიფო საალმშენებლო კომისიის, ბათომის საშარაგზო დისტანციის, მიხაილოვის ციხის სამმართველოს და სხვ. გამო. ამ მდგომარეობამ შექმნა მუშაობაში პარალელიზმი, რითაც ავნო საერთო საქმეს. იმის გამო, რომ ჩამოთვლილი დაწესებულებები მუშათა ძალას იღებდნენ კავშირიდან, რომ დაწესებულებები ჰქმნიან კონკურენციას, ასე მაგალითად სახელმწიფო ალმშენებლობითი კომიტეტი ერთი კვადრატიულ საჟენის გასათეთრებლად აძლევს 180 მანეთს საინჟინერო სამმართველო კი 400 მან. საალმშენებლო მუშათა კავშირის პრეზიდიუმმა გამოსთქვა აზრი ბათომის საშარაგზო დისტანციის ბათომის სახელმწიფო საალმშენებლო კომიტეტის გზათა ალმშენებლობის განყოფილებად გადაქცევისა და ამასთანავე ალმშენებლობის საერთო მიზნები და მთლიანი სახელმწიფო გეგმა გზათა ალმშენებლობისა უნდა დაეკისროს ბათომის გზათა ალმშენებლობის განყოფილებას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 5.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა

საქართველოში არსებულ ოლქის სასამართლოთა, და მომრიგებელ სასამართლოს დაწესებულებათა, გაუქმების შესახებ.

დამატებად ამა 1921 წლის მარტის 22-ს და აპრილის 15-ს დეკრეტებისა პირველ, სენატისა, პალატისა და სხვ. დაწესებულებათა და მეორე—ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ,—**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:**

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედი ოლქის სასამართლონი—მათთან არსებული დაწესებულებებით და თანამდებობებით და აგრეთვე მომრიგებელი სასამართლოს დაწესებულებანი.

შენიშვნა: მუხლი ესე დროებით, ვიდრე სანოტარიატო ინსტიტუტის რეორგანიზაცია მოხდებოდეს, უმცროს ნოტარიუსებზე არა ვრცელდება.

2. პირადი შემადგენლობა აწ გაუქმებულის დაწესებულებებისა დროებით, საქმეებისა და ქონების ახალ სასამართლოს ორგანოებისათვის გადასაცემად,—თავის ადგილას რჩება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სალიკვიდაციო განყოფილების განკარგულებაში.

3. ყველა წარმოებით დაუმთავრებელი საქმე როგორც ამა დეკრეტით, ისე 1921 წლ. მარტის 22 დეკრეტით გაუქმებული სასამართლოს დაწესებულებებისა აწ წარიმართება და გადაწყდება სასამართლოს წარმოების ახალი წესით და გადაეცემა ქვემდებარეობის მიხედვით:

I. **სისხლის სამართლის საქმენი.**

ა. საკასაციო საჩივრებისა და პროტესტების შესახებ—სახალხო მოსამართლეთა საბჭოს.

ბ. სააპელიაციო საჩივრისა და პროტესტების შესახებ—სახალხო სასამართლოს.

გ. კერძო საჩივრებისა და პროტესტების შესახებ—ოლქის სასამართლოს და მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის დადგენილების გამო—სახალხო მოსამართლეთა საბჭოს; საგამომძიებლო ხელისუფალთა დადგენილებებისა და განკარგულებების გამო—სახალხო სასამართლოს.

დ. პირველი ინსტანციისა—სამართალში მიცემის შესახებ,—აგრეთვე სისხლის სამართლით დევნისა და წინასწარი გამოძიების მოსპობის შესახებ—სახალხო სასამართლოს.

ე. წინასწარი გამოძიებისა—სახალხო გამომძიებლებს ან სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობის მიხედვით (სახალხო სასამართლოს დებულების 48 მუხ.).

ვ. საპროკურორო ზედამხედველობის წარმოებაში ნაქონი—ქვემდებარეობის მიხედვით—სახალხო სასამართლოს ან სახალხო გამომძიებლებს (სახალხო სასამართლოს დებულების 55 მუხ. 33.)

ზ. მცირეწლოვანთა ბრალდების შესახებ—მცირეწლოვანთა კომისიას.

თ. პოლიტიკური და სარწმუნოებრივი დანაშაულის შესახებ—მოისპობა სრულიად სათანადო შედეგითურთ.

II. **სამოქალაქო სამართლის საქმენი:**

ა. საკასაციო საჩივრების შესახებ—სახალხო მოსამართლეთა საბჭოს.

ბ. სააპელიაციო საჩივრების შესახებ—ოლქის სასამართლოს და მომრიგებელ მოსამართლეთა კრების დადგენილების გამო—სახალხო მოსამართლეთა საბჭოს; სხვა დაწესებულებათა [illegible] და განკარგულების გამო—სახალხო სასამართლოს.

დ. პირველი ინსტანციისა,—წარმოებული როგორც სამოქალაქო საჩივრის წესით, ისე უფლებათა დაცვის წესით—სახალხო სასამართლოს.

ე. სასამართლოთა გადაწყვეტილების აღსასრულებლად—სახალხო მოსამართლეთ მიმართულების მისაცემად (სახალხო სასამართლოს დებულების 108—109 მუხ.)

ვ. ოპეკისა და მზრუნველობის შესახებ—სასალხო სასამართლოს, რომელიც დროებით, ახალ საოპეკუნო დაწესებულებათა მოწყობამდე, განაგებს ამ საქმეს.

III. **საქმეები.**

ადმინისტრატიული და დისციპლინარული ხასიათისა და ქვემდებარეობის გამო აღძრული კამათის შესახებ წარმოებით მოისპოს.

4. არქივები და წარმოება დამთავრებული საქმეები, საგანაწილებლო ნაწილის მიწერ მოწერა და აგრეთვე პირადი შემადგენლობის საქმეები გადაეცემა შესაბამად იმ დაწესებულებას, რომელსაც დანიშნავს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სალიკვიდაციო განყოფილება.

5. როგორც ამა დეკრეტით, ისე 1921 წლ. მარტის 22-ს დეკრეტით გაუქმებულ დაწესებულებათა დაუმთავრებელ საქმეებში გათვალისწინებული ვადების დენა ამა 1921 წლ. თებერვლის 25-დან შეჩერებულია.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ქავთარაძე.

რევკომის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ., ივლისის 26.

ქ. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 50.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრის დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ფოსტა-ტელეგრაფის შინაგანი კორესპონდენციის ნიხრი.

2. ნებადართულ იქნეს საქართველოს მთელ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, პირველ მუხლში აღნიშნულ ნიხრის თანახმად, აიღება და გაგზავნა ფოსტა-ტელეგრაფის ყოველგვარი კორესპონდენციისა კერძო პირთათვის.

3. დაწესებულებათა, რომელთაც აქვთ უფლება ტელეგრაფით უფასოდ ისარგებლონ, დაეთმოთ მხოლოდ 20 პროც. ტელეგრაფის საერთო სამუშაო ძალისა.

4. იმ დეპეშის სიტყვათა რაოდენობა, რომელიც გაიგზავნება ხელისუფალთა მიერ, გარდა სააგენტოსა და საოპერაციო დეპეშებისა, არ უნდა აღემატებოდეს ასს (100) სიტყვას.

შენიშვნა: ა. კერძო დეპეშების სიტყვათა რაოდენობა არ იქნეს განსაზღვრული.

შენიშვნა: ბ. უკეთუ საბჭოთა დაწესებულებიდან ოფიციალური წერილით გაგზავნილი დეპეშა კერძო საჭიროების ხასიათისა აღმოჩნდება, დამნაშავე პასუხისგებაში იქნება მიცემული, როგორც სამსახურში დანაშაულის ჩამდენ სათვის.

შენიშვნა: გ. ერთსა და იმავე ბლანკზე სხვა და სხვა ქალაქებში მყოფ ადრესატების აღნიშვნა აკრძალულია.

5. ფულის ზარათის ტელეგრაფით გადაცემა სახელმწიფო დაწესებულების მოთხოვნით შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ საჩქარო შემთხვევისათვის, ისიც დაწესებულების სათავეში მდგომ პირთა პირადი პასუხისმგებლობით. ჩვეულებრივად, ფულის ზარათები ფოსტით უნდა იგზავნებოდეს.

შენიშვნა: ფულის ზარათის ტელეგრაფით გადაცემა შეიძლება მხოლოდ იმ დაწესებულებისათვის, რომლის სამყოფელ ადგილას არსებობს ხაზინა და არის საშუალება ფულის განაღდებისა.

6. ის პირი, რომელიც კერძო ხასიათის კორესპონდენციას სახაზინო კორესპონდენციის სახით გაჰგზავნის, პასუხისგებაში მიეცემა, როგორც სამსახურში დანაშაულის ჩამდენისათვის და გასაგზავნ ფასს ერთი-სამად გადაიხდის.

7. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი;

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი კვირკველია;

რევკომის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ივლისის 25.

ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 48.

ნიხრი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონით სარგებლობისათვის.

1. საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისთვის რესპუბლიკის ფარგლებში თვითეულ 3 წუთს —10,000 მან. 2. 3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისათვის ყოველ ზედმეტ წუთსა ან მის ნაწილზე დამატებით—4,000. 3. დავალება აბონენტის გამოსაძახებლად—4,000. 4. საპასუხო შეკვეთა—8,000. 5. ქალაქ. ბაქოსთან საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისთვის თვითეულ პირველ 3 წუთს—20,000. 6. 3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის ყოველ ზედმეტ წუთსა ან მის ნაწილზე დამატებით—8,000. 7. ქ. განჯასთან საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისთვის თვითეულ პირველ 3 წუთს 16,000. 8. 3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის თითო წუთსა ან მის ნაწილზე—6,000. 9. დავალება აბონენტების გამოსაძახებლად ორივე ქალაქისათვის—6,000. 10. საპასუხო დავალებაზე—10,000. 11. სასწრაფო ლაპარაკისთვის და სასწრაფო შეკვეთისათვის გადასახადი, როგორც საქალაქთაშორისო, ისე საერთაშორისო ტელეფონისა გამორთმევა ერთი-სამად ჩვეულებრივთან შედარებით ავანსი განისაზღვროს 100,000 მან. 12. შეკვეთისათვის შემოტანილი ფული არავითარ შემთხვევაში არ დაუბრუნდებათ.

შენიშვნა: თუ მთხოვნელები მეტი იქნება ლაპარაკის დრო განისაზღვროს 10 წუთით.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი კვირკველია.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ივლისის 25.

თბილისი სასახლე.

ცირკულიარი № 21

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისრებს.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მე 5-ე დადგენილების ძალით (28 მარტის თარიღით) სატარიფო პალატა გაუქმდა, ხოლო შრომის პირობათა მოწესრიგების საქმე გადაეცა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს (იხ. მე 3-ე მუხ. № 5 დადგენილებისა).

თანახმად ამისა პროფკავშირთა საბჭოსთან დაარსდა ნორმის მოწესრიგების განყოფილება, რომელიც განაგებს მთელ რესპუბლიკის ფარგლებში სატარიფო საქმეს და რომელიც, მაშასადამე, ერთად ერთი კომპეტენტური ორგანოა ამა თუ იმ სატარიფო ან სანორმო საკითხების გარკვევა-განმარტებისა და გადაწყვეტაში.

ამ გვარად სატარიფო ორგანოს არსებობა იურიდიულადაც და ფაქტიურადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული და, შრომის კომისარიატის აზრით არც უნდა იწვევდეს რაიმე გაუგებრობას და ეჭვებს ის გარემოება, თუ ვის უნდა მიმართონ სატარიფო კითხვების გამო.

მიუხედავათ ამისა მრავალი დაწესებულება და მათ შორის ზოგიერთი სახალხო კომისარიატიც სატარიფო ან სანორმო შინაარსის შეკითხვებს სისტემატიურად გზავნის არა საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოში, როგორც ეს უნდა მომხდარიყო რევკომის № 5 დადგენილების შემდეგ, არამედ, კვლავინდებურად შრომის სახალხო კომისარიატში, რაიც უკანასკნელს ჰქონდა ზედმეტ და უმიზნო მიწერ-მოწერას და ამავე დროს სრულიად უაზროდ აჭიანურებს საქმეს.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რათა თქვენდამი რწმუნებული კომისარიატი და მისი ხელქვეითი დაწესებულებანი დღეიდან მაინც სატარიფო ხასიათის შეკითხვებით მოჰქონდეს არა შრომის სახალხო კომისარიატისადმი, არამედ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მიმართონ უშუალოდ საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან არსებულ ნორმის მოწესრიგების განყოფილებას.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ხელშეკრულობა

ერთი მხრით ა. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს სახ. საგარ. საქმეთა კომისარის, ამხ მირზა დაუდ გუსეინოვის სახით, მეორე მხრით ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის პოლიტიკურმა რწმუნებულმა, ს. ჟღენტმა დასდვეს ურთი ერთ შორის შემდეგი ხელშეკრულება:

1. ა. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო აძლევს ს. ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტს საექსპლოატაციოთ თევზის საჭერ შემდეგ უბნებს ყველა თავისი „ახმაზემით“ 1. პარრიხის № 7, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვარზე ქვედა საზღვრის სვეტიდან სოფ. ზემო ახტაჩთან ზემო საზღვრის სვეტამდე მდ. არაქსის სათავემდე ქალაქ ჯავადთან. უბნის სივრცე უდრის 35 ვერსტს ყოველგვარი თევზაობა აკრძალულია 14 ივნისიდან 14 აგვისტომდე.

2. ჯავათის—№ 8. მდებარეობს მდ. მტკვარზე ქვედა ზღვრის სვეტიდან ქალაქ ჯავადთან ზედა ზღვრის სვეტამდე სოფ. ზემო აბდულიამდე. სივრცე უბნისა 34 ვერსამდე. ყოველგვარი თევზაობა აკრძალულია 28 მაისიდან 28 ივლისამდე.

3. კორატლინისა—№ 10. მდებარეობს მდ. მტკვარზე ქვედა ზღვრის სვეტიდან სოფ. ზემო აბდულიანთან ზემო ზღვრის სვეტამდე ყოფილი სათავე მდ. კარიაიმდე. სივრცე უბნისა 37 ვერსამდე. ყოველგვარი თევზაობა აკრძალულია 28 მაისიდან 28 ივლისამდე.

4. ზუმოვრსა № 13. მდებარეობს მდ. მტკვართან ქვემო ზღვრის სვეტიდან ყოფილი სათავემდე. კერჩაიამდე. ზემო ზღვრის სვეტამდე. სოფ. ქვემო გაზამხანლთან. სივრცე უბნისა 38 ვერსამდე. ყოველგვარი თევზაობა აკრძალულია 28 მაისიდან 28 ივლისამდე

5. არაქსინისა—8. მდებარეობს მდ. არაქსთან ქალაქ ჯავადის ზემო ზანგეზურის მაზრის საზღვრამდე, ამასთან ზემოთ სპარსეთის საზღვრებთან თევზაობის ნება ეძლევათ მხოლოთ მდ. არაქსის მარცხენა მხარეს. თევზაობა აკრძალულია 14 ივნისიდან 14 აგვისტომდე მდ. იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობს 8 ვერსის მანძილზე სპარსეთის საზღვრიდან.

6, ბუღამბულის—№ 25, რომელიც წარმოადგენს ტბას იმავე სახელწოდებისას, რომლის საზღვარი დადგენილია 1912 წლის 14 ივნისამდე ბუნებრივად ამართულ მიწის ზვინებით და არხით, რომელიც აერთებს ტბას მდინარე მტკვართან, სადაც თევზაობა აკრძალულია 28 აპრილიდან 14 ივლისამდე.

შენიშვნა: ამ უბნის ადმინისტრაცია [illegible] დაიცვას [illegible] ტბისა მდ. მტკვართან, შორ-შორის არხის საზღვ[illegible]ღებით იკონიოს ამ არხში შესაფერი შლიუზები, ამასთან ერთად დაიცვას საჭიროებით მიწური ჯებირები, რომლებიც იცავს წყალდიდობის წალეკისაგან აჯაქაბულის ტბის მოსაზღვრე სოფლებს.

3. ს. ს. ს. რ. რევ.-კომიტეტი იწყებს რა ექსპლოატაციას მისთვის მიკუთნებულ უბნებში, ვალდებულად ხდის თავს შეიწყოს ეს უბნები თავისი ხარჯით, მოიყვანოს შესაფერ მდგომარეობაში ყველა საწარმოო შენობები, დაიცვას სვეტები, რომელიც აღნიშნავს საზღვრებს უბნისას, აკრძალულ სივრცეებს და ნეიტრალურ ზოლებს, შეასრულოს მტკიცეთ ა. ს. რესპუბლიკაში დადგენილი სანიტარული წესები და ყველა დადგენილებანი შესახებ თევზაობისა.

4. ექსპლოატაციის უფლება აღნიშნულ 1 პუნქ. ა. ს. რ. სახალხო კომისრების საბჭოსაგან ეძლევა საქ. რევ. კომიტეტს სამი წლის ვადით.

5. რევ. კომ. ს. რესპუბლიკისა პირობას სდებს შეუდგეს თევზაობას აღნიშნულ უბნებში, თევზაობის გახსნისას თითოეულ უბანში სახელდობრ: პარიხის—15 ოქტომბრიდან მიმდინარე წელს, ჯავატის უბანში 1 მაისიდან 1922 წ. ქვტლინის 1 ნოემბრიდან მიმდინარე წლის, ზუბოვის უბანში 1 ნოემბრიდან მიმდინარე წელს, არაქსისაზე 1 მაისიდან 1922 წ. და აჯიქაბულისაზე. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან, თუ რომ რევოლიუციონ. კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკისა არ შეუდგება თევზაობას ერთ-ერთ რომელიმე ამ უბანთაგანში აღნიშნულ ვადაზე, მაშინ ხელშეკრულება იმ უბნის მიმართ ირღვევა და დაუყონებლივ გადადის ა. ს. ს. რ. სახალხო კომისრების საბჭოთა განკარგულებაში.

6. ა. ს. ს. რ. სახალხო კომისრების საბჭო ვალდებულია ყველა მის განკარგულებაში მყოფ საშუალებით უზრუნველჰყოს საქ. რევ კომიტეტის უფლება, რომ 1 პუნქ. აღნიშნულ უბნებში შეიძლოს მან გასწიოს შეუწყვეტლად ექსპლოატაცია და დაიფაროს იგი საექსპლოატაციო საქმეში ადგილობრივი საბჭოს დაწესებულებისა და ა. ს. ს. რ. თანამდებობის პირთა ჩარევისაგან.

შენიშვნა. ადმინისტრაცია სათევზაო უბნებისა ვალდებულია არ შეუშალოს ხელი სანაპირო მცხოვრებლებს თავის საჭიროებისათვის თევზაობაში, როცა ისინი ნაპირიდან იჭერენ თევზს ანკესებით და მდინარის ბადეებით და არ ხმარობენ არავითარ სხვა მოწყობილებას.

7. ს. ს. ს. რ. რევ-კომიტეტი მოვალეა გაგზავნოს საექსპლოატაციო უბნებში მუშათა ძალები. მასვე აქვს უფლება დაიქირაოს ამ უბნებისათვის მუშები ა. ს. ს. რ. მოქალაქეთა რიცხვიდან, საექსპლოატაციო ადგილების მცხოვრებთა შორის ად. სათევ. მართველობასთან შეთანხმებით.

8. პირველ პუნქტში აღნიშნული თევზსაჭერი უბნები გადაეცემა ა. ს. ს. რ. სახალხო კომისარების საბჭოთაგან საქ. ს. ს. რესპ. რევ კომიტეტს ან მის რწმუნებულის სახით მათ საექსპლოატაციოთ ყველა იმ სახელმწიფო უძრავი ქონებით, რომელიც ამ უბნებში არსებობს ამ პირობით კი რომ ხელშეკრულობის ვადის დასრულებისას, ყველა მოწყობილება, როგორც მოძრავი ისე უძრავი პირველ პუნქტში აღნიშნულ უბნებისა უსასყიდლოთ გადავა ა. ს. ს. რ. სახალხო კომისარების საბჭოს განკარგულებაში.

9. თევზაობის უფლებას მიკუთნებისათვის სამაგიეროთ რევ. კომიტ. საქართველოსა პირობას აძლევს გაუნაწილოს ა. ს. რ. სახალხო კომისრების საბჭოს 15 პროც. მთელი დაჭერილი თევზებისა.

10. თვალყურის დევნება თევზაობის წესის შესრულებისა და საზოგადოთ აღნიშნული ხელშეკრულების პირობებისა ევალება ა. ს. ს. რ. სათევზაო მმართველობას.

11. უბნების ექსპლოატაცია, რომელიც შეადგენს საგანს ამ ხელშეკრულებისას არავითარ შემთხვევაში არ იქნება დამაბრკოლებელი ა. ს. ს. რ. სარწყავ მუშაობის გეგმის შესასრულებლად.

12. იმ შემთხვევაში თუ რომ საქ. რევ. კომიტეტი მოისურვებს გააგრძელოს ვადა ყველა საექსპლოატაციო უბნებზე, ან რამდენიმე მათგანზე, საქ. რევ. კომიტეტი ვადის დასრულებამდე 6 თვით ადრე გააფრთხილებს ამაზე ა. ს. ს. რ. სახალხო კომისრების საბჭოს, რომელიც თავის მხრივ ერთი თვის განმავლობაში აცნობებს თავის გარდაწყვეტილობას და პირობებს საქ რევკომს.

13. აღნიშნული ხელშეკრულობა შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლიდან ერთი რჩება ა. ს. ს. რ. სახ. კომისარების საბჭოსთან, ხოლო მეორე საქ. რევ. კომიტეტთან. ქ. ბაქო 14 ივლისი 1921 წ.

სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქ. ს. ს. რესპუბლიკისა ს. ჟღენტი,

სახალხო კომისარი ა. ს. ს. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა: დ. გუსეინოვი.

ფეიქართა ფაბრიკების გამოკვლევა

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფეიქრო განყოფილებასთან ცეკავშირის შეთანხმებით.

ამ დღეებში მოსკოვში მიემგზავრება კომისია ცეკავშირის სამი წარმომადგენლისა, სახალ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს საქსოვ განყოფილების ერთი წარმომადგენლისა და ფეიქართა პროფკავშირის ერთი წარმომადგენლის შემადგენლობით. ამ კომისიას ევალება სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს [illegible] შეიძინოს და გამოგზავნოს [illegible] საჭირო მასალა მაუდის, ფარჩა ჩითეულ საქსოვისა და ჩულქების ფაბრიკების მოსაწყობად. ამის გარდა კომისიამ უნდა შეიძინოს ყველა საჭირო ხელსაწყობები საფეიქრო დაზგებისათვის, რომლის უქონლობის გამო საქართველოს სხვა და სხვა ქარხნებში შეჩერებულია მუშაობა. კომისიას აგრეთვე აქვს დაკისრებული შოვნა გამოცდილ ხელოსნებისა და ინსტრუქტორებისა. საფეიქრო განყოფილებას ამ ჟამად აქვს მოლაპარაკება ჩეხო სლოვაკიასთან ფაბრიკებისთვის საჭირო მასალის შემოსატანად და აგრეთვე საქართველოში გამოცდილ ხელოსნებისა, სპეციალისტებისა და ინსტრუქტორების მოწვევისათვის, რათა წესიერად დააყენონ საფეიქრო მრეწველობა როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში.

მატყლის წარმოება

ყოფილ [illegible] ფაბრიკაში მატყლის წარმოებამ დღეში 6 ფუთამდე ამიწია ერთ შეცვლაზე (ნორმალურად 4.5 ფუთია თითო შეცვლაზე). სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფეიქრო განყოფილება ფიქრობს მომავალ კვირიდან გადაიყვანოს ორ ცვლილებით მუშაობაზე, რომლის დროსაც ფაბრიკას წარმოება დღეში 12 ფუთს ქსოვილს დაამზადებს.

ნედლი მასალა საფეიქრო ფაბრიკებისთვის.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფეიქრო განყოფილება ყოველგვარ ზომებს ღებს, რათა დაამზადოს მატყლის წარმოებისათვის საჭირო ნედლი მასალა არა ნაკლებ 30 ათას ფუთის და 12 ათას ხმელი აბრეშუმის პარკისა.

აბრეშუმის მრეწველობა

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფეიქრო განყოფილებამ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება აბრეშუმის მრეწველობის განვითარებას საქართველოში. აბრეშუმის პარკის გამშლელი ფაბრიკები სრულიად მოწყობილნი არიან ოზურგეთსა, სამტრედიასა, გორსა და თელავში. ახლო მომავალში აზრათ აქვთ აბრეშუმის პარკის გაშლას შეუდგნენ, ხოლო დანარჩენი საქსოვი, დასართავი და აბრეშუმის სხვა სამუშაო სახელოსნოებს თავი მოუყარონ ტფილისში. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ აბრეშუმის მატერია ორჯერ იაფათ ჯდება, ვიდრე ბამბის ქსოვილი და თქმულება, ვითომ აბრეშუმის მატერია ფუფუნების ნიშანია—სრულიად ვერ უძლებს კრიტიკას, აბრეშუმის მატერიის წარმოება შეიძლება წლიწადში 2 მილ. არშინიდან 10 მილიონამდე და მეტზე აიყვანონ.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევს 2 საათამდის.

ვალენტინ ვლადიმერის ძე გვახარია, მარო, ზურაბის ასული და ნიკოლოზ ივანეს ძე მახარობლიძეები, სინკლიტიკა ივანეს ასული და დიმიტრი პანტელეიმონის ძე [illegible] ნაშვილები და ევგენია სიმონის ასული [illegible] გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი საყვარელ მეუღლის, მეორე შვილის, მესამე და მეოთხე დის, მეხუთე ცოლის დის, მეექვსე დეიდის

ვალენტინა ივანეს ასულის გვახარიასი

დაკრძალვა მოხდება ხუთს [illegible] ეკლესიაში კვირას 3[illegible] ლის დილის 9 ს ბინა [illegible] ვის ქ № 6.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136 თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5 58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღა ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

პარტიული

— კვირას 31 ივლისს 11 საათზე დილით სახელმწიფო დრამატიული თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება საქართველოს სოვპროფთან არსებულ კომფრაქციის სხდომა. დასწრება ყველა ფრაქციის წევრებისა სავალდებულოა.

ფრაქციის ბიურო.

— ამხ. ტოჩიტ გაფომაჯიანს და სიმონ ფურცელაძეს თბილისის მაზრის კომიტეტი საქართველოს კომპარტიისა წინადადებას აძლევს დღიდან ამის გაზეთში გამოცხადებისა პარტიული დისციპლინის ძალით ხუთი დღის განმავლობაში გამოცხადდით თბილისის მაზრის კომიტეტში, გოლოვინის ქუჩ. № 14.

თ. მ. კ. მდივანი: ლადო სუხიშვილი, საქმეთა მმართველ: სტურუა.

პროფესიონალური

თანახმად პროფკავშირთა საბჭოს განკარგულებისა სრულიად საქართველოს მიწა ტყის კავშირის კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო 7 აგვისტოსათვის, გადადებულია 10 აგვისტოსათვის.

მიწა ტყის კავშირის მთავარი გამგეობა.

სხვა და სხვა

— საბჭოთა სახლი ამით აცხადებს, რომ კვირას, 31 ივლისს ქალაქის [illegible] შენობაში ქალაქის ყოფილ [illegible] დარბაზში დანიშნულია [illegible] თბილისის ქალაქის ყველა [illegible] და ყველა იმ ადგილების, რომლებიც [illegible] იმყოფებიან; ვისაც სურს [illegible] მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში გამოცხადდნენ დანიშნულ დღეს 11 საათზე ადგილობრივ დროით.

ჟურნალი „ლახვარი“

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტიკული ჟურნალი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების [illegible] ნაწილში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ფასი 10,000 მ. [illegible]

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა [illegible]ის ქ., № 4